



სასამართლო სხდომის ო ქ მ ი

31 იანვარი 2011 წელი

ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ნანა დარასელია
სხდომის მდივანი ეკატერინე მინდიაშვილი

მოსარჩელე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“;
მოპასუხე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
მესამე პირი - შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმიტედი“
დავის საგანი - ქმედების განხორციელების დაუკლებულება;

სხდომა დაიწყო 17:30 საათზე.

სხდომა დაიწყო 17:40 საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს. სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს:

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ:

მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს დირექტორი - ნინო გუჯარაიძე;

მოპასუხე მხარის წარმომადგენელი - სოფიო ახალაძე;

სხდომაზე არ გამოცხადდნენ:

მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი - ირმა მახათაძე;

მესამე პირის წარმომადგენელი

მათთვის დღევანდელი სხდომის შესახებ ცნობილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მისი გამოუცხადებლობის შესახებ სასამართლოში რაიმე შეტყობინება შემოსული არ არის.

სასამართლო განმარტავს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსველელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

ამდენად, საქმის სირთულიდან გამომდინარე სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მოცემულ საქმეზე კვლავ გადაიდოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 284-ე, 285-ე, მუხლებით და


და ა ა დ გ ი ნ ა

1. ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ სარჩელისა გამო მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, ქმედების განხორციელების დავააღმდეგობის თაობაზე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება კვლავ გადაიდოს 2011 წლის 11 თებერვალს 17:00 საათზე.
2. განჩინება ცალკე არ საჩივრდება.

სხდომა დაიხურა 17:40 საათზე.

მოსამართლე

სხდომის მდივანი



ნანა დარასელია

ეკატერინე მინდიაშვილი